“ბანკებს, რომლებიც სამშენებლო კომპანიებთან თანამშრომლობენ, შეიძლება სირთულეები შეექმნათ”

გაზეთი “ყველა სიახლე” – 9-15 ოქტომბერი, № 41, 2008

„ჩვენი ქვეყნის საბანკო სისტემამ ძალიან დიდ გამოცდას გაუძლო, თუმცა რა იქნება მომავალში, ამის განსაზღვრა წინასწარ რთულია“, – განაცხადა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლადო პაპავამ, რომელსაც ქართულ საბანკო სექტორში არსებულ პრობლემებზე ვესაუბრეთ:

– ბატონო ლადო, საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ ქართულ საბანკო სისტემას სერიოზული პრობლემები აქვს.

– მოდით, ჩვენ თვითონ, როგორც რიგითმა მოქალაქეებმა, შევაფასოთ საბანკო სექტორის ქმედითუნარიანობა ომის შემდეგ: არის რაიმე პრობლემა ხელფასების, ან პენსიების გაცემაში? – არა. გადარიცხვები შეფერხებულია? – არა. მოკლედ რომ ვთქვათ, ის ოპერაციები, რასაც კომერციული ბანკები ომამდე ასრულებდნენ, ძირითადად, დღესაც სრულდება. ძირითადად, შეფერხებებია კრედიტების გაცემაზე, მაგრამ ვიყოთ ობიექტურები და ვთქვათ: ამ მხრივ ჩვენს ბანკებს პრობლემები ომამდეც ჰქონდათ, ომმა ისინი უფრო გაამწვავა.

მინდა შევახსენო მკითხველს 11 აგვისტო – ყველაზე დიდი პანიკის დღე საბანკო სექტორში: ამ დღეს თითქმის ყველა მეანაბრე მიაწყდა ბანკებს და დაიწყო შენახული ფულის გამოტანა. სხვათა შორის, არავინ გაუსტუმრებიათ უკან უარით, საკუთარი ფული ყველას თავისუფლად გაჰქონდა. ამ პროცესებს მოჰყვა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება – 12 აგვისტო გამოცხადდა დასვენების დღედ საბანკო სექტორში, ხოლო 13 აგვისტოდან კრედიტების გაცემა შეწყდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თითქმის ყველა ბანკი გაკოტრდებოდა. დღეს, ყოველგვარი შეზღუდვა მოხსნილია, თუმცა, ყველა ბანკი ერთნაირი ხალისით ვეღარ გასცემს კრედიტებს უბრალო მიზეზის გამო, მათ არა აქვთ საიმისო რესურსი, ეს ოპერაციები რომ აწარმოონ. ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ საბანკო სექტორი ამ ხუთდღიან ომს გადაურჩა.

არის თუ არა ბანკები გაკოტრების პირას? – ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ასეთი რამ არ დასტურდება. ზოგიერთ ბანკს აქვს გარკვეული

სირთულეები, მაგრამ არ შემიძლია გითხრათ, რომ რომელიმე ბანკს მანცა და მაინც გაკოტრება ემუქრება.

– მოახერხებენ ეს ბანკები სირთულეების დაძლევას?

– არსებობს დიდი რესურსი და შესაძლებლობა საიმისოდ, რომ კომერციული ბანკები ამ მდგომარეობიდან გამოვიდნენ. მათ გარკვეული საკრედიტო ხაზები ექმნებათ – სერიოზული დახმარებები წამოვა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან, საერთაშორისო-საფინანსო კორპორაციიდან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებიდანაც. ამას ემატება 750 მილიონი დოლარი, რომლის გამოყოფასაც საერთაშორისო-სავალუტო ფონდი აპირებს საქართველოსთვის. ეს თანხა წავა ეროვნული ბანკის რეზერვში. რეზერვში არსებული თანხის გარკვეული ნაწილი კი შეიძლება გამოყენებულ იქნას საკრედიტო რესურსად კომერციული ბანკებისათვის. ასე რომ, ნამდვილად ვერ ვხედავ განსაკუთრებულ საფრთხეს ჩვენი საბანკო სექტორისათვის.

– თუმცა, რაღაც საფრთხე, ალბათ, მაინც არსებობს, რომლის წინასწარ გათვალისწინება არ გვაწყენდა...

– ჩემი აზრით, ამგვარი საფრთხე სამშენებლო სექტორიდან მოდის: წლების განმავლობაში აქ იყო აბსოლუტური განუკითხაობა, იყო „ვაჭრობა ჰაერით“, არ არსებობდა სახელმწიფოს მიერ დადგენილი მარეგულირებელი ნორმები; ამას დავუმატოთ სამშენებლო ბიზნესში არსებული ე.წ. „პირამიდებიც“... ამ საკითხის თაობაზე ადრეც მითქვამს თქვენი გაზეთის ფურცლებიდან.

– ბატონო ლადო, ალბათ, მკითხველს დააინტერესებს, თუ რას ნიშნავს „ჰაერის გაყიდვა“?

– დავუშვათ, გამოცხადდა ათსართულიანი კორპუსის მშენებლობა. ამ კორპუსის ყველა ბინა წინასწარ სურთ გაყიდონ, მეათე სართულიც კი, რომლის აშენებამდეც, შესაძლოა, ბევრი რამ შეიცვალოს. ერთი სიტყვით, იყიდება... ჰაერი!. ამან გამოიწვია სწორედ მშენებლობაში ფინანსური “პირამიდების” შექმნა: ვთქვათ, ამ ათსართულიანი კორპუსით ნაშოვნი ფული უკვე “შეიჭამა” და აღარ აქვთ თანხა მშენებლობის დასამთავრებლად, აცხადებენ ახალი კორპუსის მშენებლობას და ისევ „ჰაერს ჰყიდიან“. საჭიროა, მოხდეს ამ პროცესის დარეგულირება: უნდა იყიდებოდეს ისეთი ბინები, რომელთ ააშენებაც გარანტირებულია. ვთქვათ, აშენებულია პირველი და მეორე სართული, შეიძლება წინასწარ გაიყიდოს მესამე, ან მეოთხე და არა მთელი კორპუსი წინასწარ. თუკი დღეს შეიძლება რაიმემ დიდი ზიანი მოუტანოს ქართულ საბანკო სისტემას, ეს –

სამშენებლო სექტორია. იმ ბანკებს, რომლებიც ამ სამშენებლო კომპანიებთან თანამშრომლობენ, შეიძლება სერიოზული სირთულეები შეექმნას.

– ალბათ, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ „სახალხო ბანკს“ უკვე რამდენიმე თვეა, კრედიტი არ გაუცია. ისინი არ აწარმოებენ სრულყოფილ საბანკო მომსახურებას. რით აიხსნება ეს?

– პირდაპირ და შეულამაზებლად ვთქვათ: „სახალხო ბანკი“ ხაზინის დანამატს უფრო ჰგავს, ვიდრე კომერციულ ბანკს, მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ საბანკო ოპერაციებს ახორციელებს. რაც ამ ბანკთან დაკავშირებით ხდება, იმასაც ომს ნუ დავაბრალებთ, ეს არის იმ პოლიტიკის შედეგი, რომელსაც ბანკი ატარებდა, მას ჰქონდა პრაქტიკულად შეუზღუდავი შესაძლებლობები სახაზინო რესურსით ესარგებდა, რომელიც განკუთვნილია პენსიებისა და სოციალური დახმარებებისათვის. სწორედ ამის გამო ძალიან ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული.

– არც ის არის საიდუმლო, რომ ის ბანკები უფრო წარმატებით საქმიანობენ, რომლებსაც უცხოელები აფინანსებენ, მაგალითად, ბანკი „რესპუბლიკა“, ის თავის ქსელს აფართოებს.

– თავისთავად, უცხოურ ბანკებს უფრო მეტი დაცვის გარანტიები აქვთ: სხვათა შორის, იმ ხალხმა, ვინც 11 აგვისტოს თავისი ფული უკან დაიბრუნა, ის ან საზღვარგარეთ გაიტანა, ან მეორე ბანკში შეიტანა, რომელიც უცხოელებს ეკუთვნის. „რესპუბლიკა“ ფრანგული ბანკია. მისასალმებელია, რომ ის თავის ქსელს აფართოებს, ამით ახალი სამუშაო ადგილები იქმნება. უცხოელებმა დააარსეს „პროკრედიტ ბანკიც“, ცალკე საუბრის თემაა „ვითიბი ბანკი“, რომლის დამფუძნებლებიც რუსები არიან...

– ბატონო ლადო, შეიძლება თუ არა წინასწარ ითქვას, რა პროცესებია მოსალოდნელი ჩვენს საბანკო სექტორში?

– საბანკო სექტორი ცალკე არსებული პლანეტა ხომ არ არის? ის ჩვენი ქვეყნის შემადგენელი ნაწილია. ამიტომ, ზოგადად უნდა ვთქვათ, – ამ სფეროში მიმდინარე პროცესები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იქნება ჩვენს ქვეყანაში, როგორი იქნება ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობა. ეს ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ამ ეტაპზე ჩვენ გვაქვს ურთულესი პრობლემები: ძალიან მძიმე შედეგებით დასრულებული ომი რუსეთთან, ქვეყანაში არის ძალიან მაღალი დონის ინფლაცია. არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინებაა ის, რომ ეროვნულ ბანკს უკვე ერთი წელია, პრეზიდენტი არ ჰყავს. ძალიან დიდ პატივს ვცემ დავით ამაღლობელს, როგორც

კარგ მაკროეკონომისტს, მაგრამ ამ ერთი წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი, როგორც ინსტიტუტი, არსებითად დასუსტდა. მოვა ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ისეთი პროფესიონალი, ვინც მის წინსვლასა და განვითარებაზე იზრუნებს? – მივესალმები, რადგან მისი განვითარება ზოგადად საბანკო სექტორის სრულყოფასა და განვითარებასაც ნიშნავს. მოდით, ასე ვთქვათ: საბანკო სექტორში პრობლემები ომამდეც არსებობდა, ომმა ისინი კიდევ უფრო გაამწვავა, მაგრამ მომავალში ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მდგომარეობა იქნება მთლიანად ქვეყანაში.

ხათუნა ჩიგოგიძე